მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, №01.19.20.024.030 საკადასტრო ერთეულის სამხრეთ-აღმოსავლეთით გამწვანებული ტერიტორიების რუკაზე ხარვეზის სახით რჩება ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენა. აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.19.20.024.030 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე

გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვარკეთილის დასახლებაში, III მასივში, VII კვარტალში, კორპუსი 12-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.024.030) ნაწილზე და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6), საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული ურბანული (შიდა კვარტალური) გამწვანების ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №01221023155-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ქალაქი თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისში, დადმართი საქანელა №9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №6-ში (კაფე-ბარი „გორაძირი“) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049, №01.15.04.004.045) მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს საპროექტო ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსება წარმოადგენს, სადაც მოეწყობა სასურსათო სუპერმარკეტი „აგროჰაბი“, მიწისზედა პარკინგები და საფირმო კაფე-რესტორანი.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049, №01.15.04.004.045) ექვევა ისტორიული ნაწილის დამცავ ზონაში „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების დანართი №2-ის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული ქმედებები რეგულირდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით, ზემოაღნიშნული დადგენილებითა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებებითა და წესებით.

აღნიშნულის გათვალისწინებით, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის №137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №91 განკარგულებით

დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის №9-34 დადგენილების თანახმად, 2022 წლის 12 აპრილის №01221023155-67 განცხადების ფარგლებში ფუნქციური ზონის ცვლილების საკითხი, განსახილველად წარედგინა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს.

საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე (2022 წლის 18 აპრილის №17-01221083668-16 წერილი; 2022 წლის 14 აპრილის №13 ოქმი) დადებითი შეფასება მიეცა ქ. თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N10-ში; ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10-ის მიმდებარედ და ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049, №01.15.04.004.045) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილების საკითხს, მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების მიზნით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ ხარვეზის სახით №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე ხარვეზის სახით რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1), აღნიშნულ საკადასტრო ერთეულების ძირითად ნაწილზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2). შესაბამისად, მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ დარჩენილი ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 28 აპრილის №18-01221172960 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო არეალზე განხორციელდეს სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ასევე, ხარვეზის სახით საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით №01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე რჩება სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1). აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10; ქალაქი თბილისში, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №10-ის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, მ. ჯავახიშვილის ქუჩისა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, დადმართი საქანელა №9, ზვიად გამსახურდიას სანაპირო №6-ში (კაფე-ბარი „გორაძირი“) მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №01.15.04.004.049, №01.15.04.004.045) სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ით (სსზ-2) ცვლილება, №01.15.04.004.047 და №01.15.04.004.006 საკადასტრო ერთეულების ნაწილზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და №01.15.04.004.039 საკადასტრო ერთეულსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია მრავალფუნქციური კომპლექსის განთავსების პირობით.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №0122098420-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.004) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ცვლილება.

№01.19.26.004.004 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე სამრეწველო ზონა 2-ის (სზ-2) გავრცელების მიზნობრიობას წარმოადგენს საწვავის შესანახი ბაზის (ნავთობპროდუქტების ბაზა) განთავსება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 19 აპრილის №01221092663 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით გათვალისწინებული ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის №01221103991 წერილის მიხედვით, ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთზე გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) არ წარმოადგენს მისასვლელ გზას მიმდებარედ რეგისტრირებული საკადასტრო ერთეულებისთვის, მისი გაუქმება არ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას განსახილველ ტერიტორიაზე არსებული სატრანსპორტო საჭიროებებისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სამომავლო განვითარების კუთხით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსი შიუკაშვილის ქუჩა №35-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.19.26.004.004) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1), სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1), სამრეწველო ზონა 1-ისა (ს-1) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სამრეწველო ზონა 2-ით (ს-2) ცვლილება მისაღებია. ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01221023310-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა №10-ის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.004.015) მიმდებარედ არსებულ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის №01221103990 წერილის მიხედვით, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება მოთხოვნილია საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვრებში, ფაქტობრივი ღობის კონტურის გასწვრივ. ამასთან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ერთიანი რუკის მონაცემებისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფაქტობრივი მდგომარეობის ამსახველი ფოტომასალის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთსა და მის მიმდებარედ, ე. თაყაიშვილის ქუჩაზე, დონეთა შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა. შესაბამისად, მოთხოვნილი კონფიგურაციით სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმება ვერ მოახდენს უარყოფით გავლენას მიმდებარედ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობაზე.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შედეგად მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში ხარვეზის გასწორების მიზნით, სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.20.01.004.015 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1 (ზ-1) იცვლება საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩა №10-ის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.004.015) მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - №31-01220543033 განცხადებით, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, IV მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.72.14.043.283) მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება.

ზემოაღნიშნულ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საავტომობილო გზის კაპიტალურად მოწყობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს 2022 წლის 20 აპრილის №61-01221103294 წერილის მიხედვით, ქონების მართვის სააგენტო არ არის წინააღმდეგი, ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის, IV მიკრორაიონში მდებარე მიწის ნაკვეთზე (№01.72.14.043.283 საკადასტრო კოდის მიმდებარედ) გავრცელებული ფუნქციური ზონა - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) შეიცვალოს სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 4 მარტის №16-01220631229 წერილის მიხედვით, საპროექტო მონაკვეთზე მოთხოვნილი ცვლილებით იქმნება გზათა ქსელი, სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გავრცელება ხდება გზის მონაკვეთზე, რომელსაც ფაქტობრივად გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა, შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 29 აპრილის №12-032211963-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01221113671-67(№0122117422-67); №01221023155-67; №0122098420-67; №01221023310-67; №31-01220543033) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 29 აპრილის №12-032211963-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 5 წინადადება - №01221113671-67(№0122117422-67);

№01221023155-67; №0122098420-67; №01221023310-67; №31-01220543033) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას

მოისმინეს დღის წესრიგის მეექვსე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 29 აპრილის №12-032211967-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეექვსე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 28 აპრილის №22.622.672 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 1 წინადადება - №01220632064-67).

დადგენილების პროექტის განხილვისას წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 მარტის №22.394.439 განკარგულებით მოწონებულ იქნა ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა №63, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.398) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა და №01.14.05.008.355 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

აღნიშნული განკარგულება კანონმდებლობით დადგენილი წესით, დასამტკიცებლად წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 18 აპრილის №03-032210889 წერილის შესაბამისად, თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება რეკომენდაციით მიმართოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მოხდეს ხელახალი ინიცირება და ფუნქციური ზონის ცვლილება შეეხოს მხოლოდ №01.14.05.008.398 საკადასტრო ერთეულის ნაწილს და პროექტიდან ამოღებულ იქნას №01.14.05.008.355 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა.

აღნიშნულის მიზნით, ცვლილება შევიდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 მარტის №22.394.439 განკარგულებაში და პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად:

„ა) ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა №63, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №N22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.398) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა“.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ქუჩა №63, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №N22ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.05.008.398) ნაწილზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) ფენის მოხსნა მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა, შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 29 აპრილის №12-032211967-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01220632064-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 29 აპრილის №12-032211967-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება - №01220632064-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 4 მაისის №12-032224149-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ოთარ ჩიტაძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტებში. კერძოდ, ელიავას ბაზრობის თემატურ რუკაზე მონიშნულ „A“ ტერიტორიაზე (სადაც განვითარება დასაშვებია მხოლოდ განაშენიანების რეგულირების გეგმების შესაბამისად) დასაშვები ხდება დროებითი შენობა-ნაგებობის განთავსება, მუნიციპალიტეტის მოთხოვნის შემთხვევაში დემონტაჟის განხორციელების პირობით.

ამასთან, ცვლილება ეხება ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ

ქალაქგეგმარებითი „A“ არეალის განვითარების რეგლამენტებს.

სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაკვეთით ააიპ „სენი-კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა“ (ს/ნ: 204419977) შეიმუშავა ლისის ტბის მიმდებარე არეალის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევების მართვის დოკუმენტი. აღნიშნული კვლევის მიმდინარეობის პერიოდში, წარმოდგენილი არეალის სამშენებლოდ განვითარება დასაშვები არ იყო. შემუშავების შედეგად კი, გამოვლინდა კონკრეტული მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც ასახული იქნება დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში. კერძოდ, არეალის სამშენებლოდ განვითარება დასაშვები გახდება ახალი რეგლამენტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული კონკრეტული პირობების შესაბამისად. რაც უზრუნველყოფს, როგორც კერძო მესაკუთრეთა ინტერესების, ასევე დედაქალაქის ურბანული და გარემოსდაცვითი სტრატეგიების გათვალისწინებას.

კერძოდ, დგინდება შემდეგი პირობები:

ა) „A“ არეალზე სამშენებლოდ განვითარება დასაშვებია განაშენიანების რეგულირების გეგმებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა.ა) ტერიტორიის სამშენებლო განვითარება განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განსაზღვრული არეალების ფარგლებში, სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) ან/და სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) რეგლამენტების შესაბამისად;

ა.ბ) ლისის ტბის გარემოსდაცვითი და ქალაქმშენებლობითი კვლევით დადგენილ ზევის არეალში, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა დაკმაყოფილება განხორციელდება საპროექტო არეალში არსებული სხვა მიწის ნაკვეთების გადაგეგმარების საშუალებით; ხოლო, წარმოქმნილი დაურეგისტრირებელი ტერიტორია გამოიყოფა ცალკე საკადასტრო ერთეულად, შემდეგში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის მიზნით.

ა.გ) საპროექტო მიწის ნაკვეთების დაყოფისას, მინიმალურ ფართობად განისაზღვრება 1000 კვ.მ.;

ა.დ) მშენებლობის ნებართვის ეტაპზე უნდა მოეწყოს წყალარინების საინჟინრო ქსელი და დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ იქნას შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული, საყოფაცხოვრებო წყალარინების (კანალიზაციის) ცენტრალურ ქსელზე დაერთებისა და ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი; ასევე, ყველა სახის შენობა-ნაგებობის განთავსება ან/და ექსპლუატაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ მიერთებული იყოს ცენტრალურ სანიაღვრე სისტემასთან.

ა.ე) ღობის მოწყობა უნდა მოხდეს იმგვარად, რომ მისი ყრუ ნაწილი არ აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 0.4 მეტრს;

ა.ვ) ტერიტორიაზე დაუშვებელია წყლის ჭაბურღილების მოწყობა, რათა დაცულ იქნეს წყლის ბალანსი ლისის ტბის წყალშემკრები აუზის ფარგლებს შიგნით.

შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. აბაშიძემ - ტბებისთვის დაშვებული წყალდაცვითი ზოლის კორექტირების შემდეგ, რომელიც ლისის ტბის, კუს ტბისა და გლდანის დიდი და პატარა ტბებისთვის შეადგენს წყლის მაქსიმალური ზვირთცემისას წყლით დაფარული შესაბამისი სანაპირო ხაზის კიდიდან არანაკლებ 30 მეტრს, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის განაშენიანების (სამშენებლო ნებართვების) მოთხოვნების თაობაზე მიმართვიანობის გაზრდის შესახებ.

ბატონმა ლევან აბაშიძემ ასევე ითხოვა ინფორმაცია მოთხოვნილი განაშენიანების (სამშენებლო განვითარების) არელების შესახებ.

მომხსენებელმა, ბატონმა ო. ჩიტაძემ მოთხოვნილი ინფორმაციის სხდომაზე წარდგენა უზრუნველყო ინტერაქტიური რუკის (www.tas.ge) მეშვეობით.

ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა დამატებით ისაუბრა ლისის ტბის წყალდაცვითი ზოლის იმ მიმდებარე არეალზე, რომლის სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია და აღნიშნა, რომ ტერიტორიის დიდი ნაწილი განეკუთვნება მუნიციპალურ საკუთრებას. შესაბამისად, მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ტერიტორიის განაშენიანება არ მოხდება, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ გამოყენება განხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ბ-ნი ლ. ბოჟაძე დაინტერესდა ლისის ტბის დაშრობის გამომწვევი მიზეზებით.

მომხსენებლის, ბ-ნი ო. ჩიტაძის განმარტებით, ლისის ტბის აუზი მარაგდებოდა რამდენიმე არხიდან, ზოგი მათგანი ქაოსური განაშენიანების გამო ჩაიკეტა. თბილისერვის ჯგუფის რეკომენდაციით, საჭიროა იმ არხების გაწმენდა-დასუფთავება, რომელიც ჯერ კიდევ ლისის ტბას ამარაგებს წყლით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 4 მაისის №12-0322124149-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 1

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 4 მაისის №12-0322124149-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მერვე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2022 წლის 4 მაისის №12-03221110-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მერვე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნინო ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად, დღის წესრიგში დადგა „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 4 მაისის №22.668.732 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და

სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 4 წინადადება - №01221014022-67; №012211247-67; №01221231282-67; №01220893485-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - №01221014022-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ოქროყანაში მდებარე მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი: №01.15.01.002.013, №01.15.01.002.014) ნაწილზე მოთხოვნილია სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო, უფლებამოსილებების ფარგლებში, განიხილავს საპროექტო ტერიტორიაზე სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილებასა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნას, საპროექტო არეალის პრივატიზების მიზნით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 27 აპრილის №01221173078 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სატყეო ზონის ფენა.

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - №012211247-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის ქ. №130-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.11.029.131) ნაწილზე მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ით (სსზ-1) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ძირითად ნაწილზე ვრცელდებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1). შესაბამისად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, მიზანშეწონილია განხორციელდეს ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება.

- განმარტებითი ბარათის „გ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - №01221231282-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.003.066)

მოთხოვნილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2). შესაბამისად, არსებული ფუნქციური ზონირების ფორმატიდან გამომდინარე, წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილება არ გამოიწვევს ზონის არეალის ფრაგმენტაციას და მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება №01.11.17.003.119 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ევგენი ღვალაძის ქუჩა N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.17.003.066), №01.11.17.003.119 საკადასტრო ერთეულის ნაწილსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის (სსზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - №01220893485-67 განცხადებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, ჩიხი I, №2-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.081) ნაწილზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს პავილიონის განთავსება წარმოადგენს.

№01.14.07.004.081 საკადასტრო ერთეულზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით საპროექტო არეალზე (საკადასტრო კოდი:

№01.14.07.004.081) ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1) და ასევე გამწვანებული ტერიტორიების რუკის მიხედვით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2022 წლის 8 აპრილის №01220984070 წერილის მიხედვით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.081) განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენა.

საპროექტო №01.14.07.004.081 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას წარმოადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირი - ქონების მართვის სააგენტო, 2022 წლის 29 აპრილის №61-01221193628 წერილის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.081) სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილებისა და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნის წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, წყნეთის გზატკეცილი, ჩიხი I, №2-ის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.081) ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) ფენის მოხსნა მისაღებია პავილიონის განთავსების პირობით.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი, შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა, შეკითხვები არ დასმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნ. კახეთელიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 4 მაისის №12-0322124110-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01221014022-67; №012211247-67; №01221231282-67; №01220893485-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით გადაწყვეტეს:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2022 წლის 4 მაისის №12-0322124110-03 წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 4 წინადადება - №01221014022-67; №012211247-67; №01221231282-67; №01220893485-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

დღის წესრიგის მეცხრე (მიმდინარე) საკითხი - არ განხილულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ნიკოლოზ კახეთელიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:



ნიკოლოზ კახეთელიძე